ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5145259

ნომერი: AR1780627

თარიღი : 07.10.2020

გაცემის თარიღი : 15.10.2020

გაცნობის თარიღი : 16.10.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , ჩიხი II , N1 და N3 , (ნაკვეთი N5/42); ქალაქი თბილისი , გზატკეცილი წყნეთი , II ჩიხი , N 5 , (ნაკვეთი N5/40);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ გურამიშვილი პ/ნ 01017010698
- თბილისი, მურთაზ შამუგიას ქუჩა #178

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (ბლოკი #1; ბლოკი #2)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ გურამიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ი.ბ.ა. "ახალი ბაგები"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205204937
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გურამ გურამიშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017010698

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1411373
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 29.07.2014

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3973599
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 22.05.2018

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. .არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოდგენილ იქნას განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი, სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული ფოტოსურათები.

02.. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის N17-0120198938 (16/07/2020) წერილის თანახმად განხორციელდა არსებული კაპიტალური შენობა - ნაგებობის დემონტაჟი შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე, შესაბამისად წარმოსადგენია შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი(დადგენილება) და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითარი.

03. წარმოდგენილი იქნას კ2 მომატების მოსაკრებლის სრულად გადახდის ქვითარი.

04. ვინაიდან მშენებლობის ნებართვა ვადაგასულია, საჭიროა გადახდილ იქნას მშენებლობის ნებართვის მოკრებელი შეთანხმებული კ-2 კოეფიციეტნის ფართობის შესაბამისად 1 კვ.მ-სთვის 4 ლარის ოდენობით.

05. "ფაილის მიმაგრება -> "ფაილი მიამაგრეთ სურვილის შემთხვევაში:
წარმოდგენილ 2019 წლის 14 იანვრის კრების ოქმზე ხელმომწერთა ვინაობა არ შეესაბამება სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში მითითებულ დამფუძნებელ წევრთა ვინაობას. კონკრეტულად, არ დგინდება რის საფუძველზე არიან ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები ფრიდონ გურამიშვილი და გიორგი სულხანიშვილი. შესაბამისად, დამფუძნებელ წევრთა ვინაობის დასადგენად საჭიროა წარმოდგენილი იქნას ამხანაგობის სრული სადამფუძნებლო დოკუმენტაცია (ყველა შესული ცვლილება და ოქმები) და საჭიროების შემთხვევაში განახლებული ოქმი თავმჯდომარის არჩევის თაობაზე, ასევე, სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისად შედგენილი, ამხანაგობის უფლებამოსილი ორგანოს თანხმობა მშენებლობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

06.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:
საჭიროა კალენდარული გრაფიკიდან ამოღებულ იქნას არსებული შენობის სადემოტაჟო სამუშაოები.

07..საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.::
წაემოდგეილი საექსპერტო შეფასება ვერ ჩაითვლება მისაღებად, მასში მოცემული ინფორმაცია არასაკმარისია რადგან მასში არ არის მითითებული- - ხომ არ აღინიშნება ან ხომ არ არის საფრთხე მშენებლობის დაწყების შემდეგ არახელსაყრელი გეოლოგიური მოვლენების განვითარების (მეწყერი, ჯდენა, ჩაქცევა და სხვ.), შესაბამისად

წარმოდგენილი უნდა იქნას განახლებული და შესწორებული საექსპერტო შეფასება მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით.

08.ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება. -> .საექსპერტო შეფასების pdf ფაილი.::
წარმოდგენილი კონსტრუქციული პროექტის ექსპერტიზა არ არის მისაღები, საჭიროა საექსპერტო დასკვნა წარმოდგენილი იქნას I და II ბლოკზე ცალცალკე.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.